


572  
1983/2

ISSN 0132-8983



1983 3360220 N-4

鳥類學

# ბაგაფსული

## ბაბაი წამითი

გაზაფხულდა, ბუბუის მინას  
 თავე იწონებს ნაზი ია;  
 ჩვენს საღვინად კოვობ ვარდსაც  
 ეშით გული გავლია.  
 საგურდითი მუყანე ბაღსს  
 აბიბინებს სიო ნაზად;  
 თითქო უნდა დაეღინოს  
 იმ უვაჯილებს ფინადაზად.  
 მაღალ მთიდგან წმინდა წურო  
 მოცქრიალებს ჩუხჩუხითა,  
 თითქო ნანას უბნება  
 მუბუქმუჯურებს ტუბილი სმითა.  
 ხის ტოტებზედ ჩიტუნები  
 ფრთხილიბენ, სრიალობენ;  
 იმუნებენ მაღლა ბუდეს,  
 დაჩხარინ და გალობენ.  
 და მასლობლად იქვე თავი  
 მოაჯრით ემაწვილებსა,  
 იმღერიან და თან კრუფენ  
 სხვადასხვა ფუნს უვაჯილებსა.





# არდადეგებზე ლენინის კალაქში

## არდადეგები

არდადეგები დაიწყო. კარგია არდადეგები, მით უმეტეს, თუ დასვენების დღეებში სამოგზაუროდ წასვლა გელის, მაგრამ საით? ვიფიქრეთ, ვიფიქრეთ მე და მამამ და გადავწყვიტეთ ლენინის ქალაქში წავსულიყავით. ლენინგრადს ადრე პეტროგრადი ერქვა და რუსეთის მეფის სატახტო ქალაქი იყო. აქ დაიწყო რევოლუცია. ამ ქუჩებში დააბიჯებდა ვ. ი. ლენინი, აქედან მოუწოდებდა მსოფლიო პროლეტარიატს თავისუფლებისაკენ.

## სმოლნიდან დავიწყეთ

სმოლნიში შესვლისთანავე მოინება დამეუფლა. ოდესღაც ამ დერეფნებში წითელგვარდიელები დააბიჯებდნენ, ისმოდა იარაღის ჭდარუნი, გადიოდნენ და გამოდიოდნენ ჯარისკაცები, მეზღვაურები. ახლა კი აქ საზეიმო მღუმარება გამეფებული...

ექსკურსიამძღოლმა უხმოდ გააღო ვეებერთელა დარბაზის კარი.

— ამ სვეტიებიან დარბაზში, — დაიწყო მან, — 1917 წლის 26 ოქტომბერს — რევოლუციის მეორე დღეს — მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების სრულიად რუსეთის 11 ყრილობა ჩატარდა. როცა ყრილობის ტრიბუნაზე ლენინი გამოჩნდა, მთელი დარბაზი ფეხზე ადგა. არ წყდე-


ბოდა შეძახილები: „გაუმარჯოს ლენინს“. ხალხი იდგა ფანჯრის რაფებზე, სვეტიების შვერილებზე, სკამებზე, ფრიალებდა პაერში ასროლილი ქუდები, ელავდა მაღლა აწეული შაშხანები...

სულგანაბული ვუსმენ გამყოლს და თითქოს ჩამესმის გამარჯვებული ხალხის გუგუნი; მიწვინება, რომ ტრიბუნაზე სადაც არის ლენინი გადმოდგება და ხელს დამიქნეს.

## პირველი კაზინო

მესამე სართულზე ლენინის პირველი კაზინეტია. ოთახის კარზე შემორჩენილია წარწერა „კლასნაია დამა“. თურმე სმოლნის შენობაში რევოლუციამდე კეთილშობილ ქალთა ინსტიტუტი იყო და ეს ოთახი პედაგოგ ქალს ეკუთვნოდა. შემდეგ, როცა სმოლნიში აჯანყების შტაბი მოენწყო, ოთახი ლენინის კაზინეტად გადაიქცა. აქ მოდიოდნენ ისინი, ვისაც რევოლუციის ბედი აწუხებდა. აქ თათბირობდა, სხდომებს მართავდა ლენინი. იმ დღეებში იგი იმდენს მუშაობდა, რომ დასასვენებლადც ვერ იცლიდა. ამიტომ მისმა მეგობრებმა ოთახი ფარდით გავყვეს და ფარდის იქით უბრალო რკინის სანოლი დადგეს, რომელზეც ლენინი ზოგჯერ თვალს ატყუებდა. მეურ კი ისევ იწყებოდა ტელეფონების რეკვა, განკარგულებები.

ლენინი წამდაუნუმ ამონებდა, აჯანყება გეგმის მიხედვით მიდიოდა თუ არა. გადიოდნენ და შემოდდიოდნენ სახალხო კომისრები, მოჰქონდათ სულ ახალ-ახალი ცნობები:



ქ. მარქის საბ. საქ. საბ. სახელმწიფო რესპუბლიკის ბიბლიოთეკაში

17465

აჯანყებულებმა ალყა შე-  
მოარტყეს პეტროგრადის  
ცენტრს“, „ვაგხალი აჯან-  
ყებულებმა და იკავეს“,  
„ტილგრაფი აიღეს“, „ზა-  
მთის სასახლის იერიში  
ინყება“...

25 ოქტომბერს კრეისერ  
„ავრორა“ სასიგნალო გა-  
სროლის შემდეგ დაიწყო  
იერიში. 26 ოქტომბერს ზა-  
მთის სასახლე აიღეს,  
დროებითი მთავრობა და-  
აპატიმრეს. „გაუმარჯოს  
მუშათა, ჯარისკაცთა და  
გლეხთა რევოლუციას“ —  
ასე მიულოცა ვ. ი. ლენინ-  
მა რევოლუციონერებს სა-  
ბოლოო გამარჯვება.

### ლენინის ოთახში

ოქტომბრის შეიარაღე-  
ბული აჯანყების შემდეგ  
ლენინი სულ გადაახლდა  
სმოლნს და აქედან წარ-  
მართავდა ახალი ცხოვრე-  
ბის მონესრიგების და რე-  
ვოლუციის მონაპოვართა  
დაცვის საქმეს.

ვ. ი. ლენინსა და მის მე-  
უღლეს ნ. კ. კრუშკაიას  
მეორე სართულზე მიუჩი-  
ნეს ოთახი. ოთახი კედლის  
ლუმელით თებობდა, მაგ-  
რამ ლენინი მომჭირნეო-  
ბით ხმარობდა სანჯავს.

— ყოველი ღერი შემა  
ახლა ოქროდ ფასობს, და  
პატარებისთვის, ჩვენი ქვე-  
ყნის მომავალი მშენებლე-  
ბისათვის უნდა დაიზოგო-  
სო — ეუბნებოდა თურმე  
ნადეჟდა კონსტანტინეს  
ასულს.

### წუიჭჳი ისეთ რამის, რაც თვითონ არ გინახავს!

იმ ისტორიულ ღამეს  
სმოლნის ეზოში კოცონები  
ბრიალებდა. მესამე სარ-  
თულზე ლენინის ხელ-  
მძღვანელობით მუშაობდა  
აჯანყების ოპერატიული  
შტაბი. იცვლებოდნენ ყა-  
რაულები. შტაბის კარზე  
დღესაც არის გაკრული  
პიტერის ქარხნის მუშა-  
ყარაულების ფოტოები. შე-  
ნობის შესასვლელთანაც  
ტყვიამფრქვევები და ქვე-  
მეხები იდგა და გუშაგები  
მორიგეობდნენ. იმ გრამ  
ერთხელ, არავინ იცის საი-  
დან, ეზოში დაგლეჯილ-  
ფარაჯიანი ბიჭუნა გამო-  
ჩნდა, თავზე ყურებიანი  
ქუდი ჩამოეფხატა, ძალიან

ცდილობდა შენობაში  
არულიყო. მორიგებმა შე-  
ცდილობდა შენობაში შე-  
გრამ ბიჭი დაუსხლტა  
მდეურებს და დერეფანში  
გაქრა. ატყდა ალიაქო-  
თი, სირბილი. ბოლოს  
ბიჭი, როგორც იქნა, და-  
აცივრეს. — ლენინის ნა-  
ხვა მინდა, — ატირდა ბი-  
ჭი, — ჩემს ამხანაგებს შე-  
ვპირდი, ლენინზე გამა-  
ბობთ-მეთქი. თუ არ ვნახე,  
რა უნდა ვუამბო.

— მართალს ამბობს  
ბავშვი, — გაისმა უცებ  
ალერსიანი ხმა, — ისეთი  
რამ არ უნდა თქვა, რაც  
თვითონ არ გინახავს. გა-  
მოუშვით!

ყველანი შეცბნენ. მათ  
წინ ლენინი იდგა.

მას შემდეგ მრავალი წე-  
ლი გავიდა, ის ბიჭუნა შე-  
მდეგ მგზნებარე ლენინე-  
ლი გახდა, იშრომა, იომა,  
ისწავლა, ახლა კი ლენინ-  
ის მუზეუმის თანამშრო-  
მელია. ჰოდა, როცა ვინმე  
სთხოვს ხოლმე, ლენინზე  
გვიამბეო, ხალისიანად თა-  
ხნივდება.

— ვიამბობთ, როგორ  
არა, მე ხომ თვითონ ვნახე  
ლენინი.


ირინე ტალიაზვილი







რ ე ვ ა ზ ი ნ ა ნ ი შ ვ ი ლ ი



შევედი ბალში. დავჭექე დიდი ჭერმის ქვეშ, დავინახე წითლად დაწოლილი მზისფერი კატა.

ეს კატა წინა დღეს მოვიდა ჩემთან, ჭერაც ისევ კნუტი. დახვეწილი, მსუბუქი. მთელ დღეს ჩემთან დარჩა, ხან ფანჯრის რაფაზე შემოსკუპებული და ჩემსკენ მოჩერებული, ხანაც საწოლებს ქვეშ ამაყად მოარული. ღამეც ჩემთან ეძინა, ჩემს საწოლზე. მოხვეული იყო კოხტად და კუდი ცხვირზე ჰქონდა მიფარებული, თითქოს უნდოდა, მე მის სუნთქვასაც კი არ შევეწუხებინე. წყნადა, გაბმულად კრტუტუნებდა. ახლა ვაშლებს შორის, მწვანეში მიაბიჯებდა. მიაბიჯებდა შეყოვნებული თვლით — ეერთი, ოორი... და ასე. ისედაც გრძობდა, ოდნავ თავაწეული, კიდევ უფრო გაგრძელებულიყო. ფეხს მაღლა სწევდა, რომ ბალახებისთვის არ წამოედო, არ გაეტოკებინა. ასწევდა ასე და ფრთხილად ჩაუშვებდა. მის ირგვლივ პატარა თითოი პეტილები დაფარფატებდნენ, ის ყურადღებას არ აქცევდა, რაღაცას ეპარებოდა. კიდევ უფრო შეანება ნაბიჯი, გაჩერდა, ჩადაბლდა, კუდი ბალახებში ჩაუშვა. ახლა ისკუპებს-მეთქი, და მართლაც, ისკუპა, დატოტვილ ფერიცვალას დაახტა. იქიდან შეშფოთებული ფრთხაბატულა პეტილა აფრინდა. კატამ კიდევ ისკუპა, კინალამ მისწვდა ბრტყალებით ფრთხაბატულას. ფრთხაბატულამ მაღლა აიწია, კატა გაწბილებული დარჩა, მაღლა იყურებოდა და რაღაცას ფიქრობდა. მერტ როგორღაც გაუბედავად ზოიხედდა, ზომ არავინ მიყურებდაო, მე დამინახა, შეცბა, ვაშ-

ტერდა. აინტერესებდა, დავცინოვდი თუ არა. მე მეღიმებოდა. ხმადაბლა, ძალიან ხმადაბლა დაიკანავლა, თითქოს მეუბნებოდა, რა მოხდა, ეგ ერთი პეტილა წამივიდაო. მე ისევ მეღიმებოდა, მაშინ ცოტა ხანსაც მიყურა და აშკარად უფუნებოდ გაბრუნდა. ცოტა უფრო დაუღვევრად, მაგრამ უფრო ღამაზად მიდიოდა. ყოველი ნაკვით მიუღმდებოდა. გაჩერდა, მომხედა. მე ისევ მეღიმებოდა. მაშინ შუბლი შეიკრა, თვალები მოჭუტა, სკუპ-სკუპით წა-

ვიდა, ბოლო ნახტომით ვაშლის ძირს შეახტა, ქარბორიასავით სწრაფად ავარდა კენწეროზე. მომაგრდა იქ, ჩემსკენ იყურებოდა, სენადა, — შემომხედე, იქნებ ესე შენც გააკეთო! მე ვითომ ვერც ვხედავდი, ჩემთვის ვჭირჭირებდი. მაშინ ჩამოვიდა, წამოვიდა ჩემსკენ. მოდიოდა ისევ იმგვარი სიპარულით, სხეულის ყოველი ნაკვთის მღერით. გაჩერდა, შემომცნავლა, — ახლა მაინც მიყურე კარგადო, — გამოქანდა, შეახტა ჭერმის ძირს და თვალის დახამხამებაში ზემოდან მოექცა კენწეროს, იქიდან ჩამოხედა და ჩამოქანავდა, — გააკეთებ შენ გერეო? მე სიცლი ამიტყდა. — ვერა, ფისო, მაგას ვერ გააკეთებ მეთქი. — აბა, მაშ რაღა უცნებებსო. ჩამოვიდა რბილად, უცმაუროდ, მოვიდა სულ ახლოს და თვალეში შემომხედა, — არაო, დღეს არ დასცინო სხვას, ეს უწინსობაა. — არა-მეთქი, ფისო, — მოფერებთი ვავუსვი ხელი. ბეწვი ჰქონდა თბილი და ნაწი. ფეხზე მომიყუდა. უცებ გაიცქაჟა, დიდი წითელი პეტილა დაინახა. ის პეტილა კულმზუხოს ფოთოლზე დაქდა. კატა წავიდა ჩრდილივით ჩუმად, გაჩერდა, ჩაილუნა და ისკუპა. ეს იყო დიდებული ნახტომი! მოისმა კულმზუხოს ფოთლის ჩხვივის ხმა. კატა წინა ფეხებთან ატოკებდა თავს. მეცე გაჩერდა, მოხრუნდა, პეტილა პირით ეკავა, მოვიდა ჩემთან, პეტილა წინ დამოდიო. მიტრიალდა და წავიდა. მე ტაში დავუჭარი. გაკვირვებულმა მოიხედა. ვერ გაიგო, რას ნიშნავდა ეს ტაში, და ზვიდალად განაგრძო თავისი გზა...



მხატვარი ელშარდ ამბოშაძე




### პატრონობა უნდა

ფეიკო მაყის სტუდენტი,  
 მამა—ანჟიტაქორი,  
 ბებო—თაღის მქონი,  
 ბაბუა კი—ღებქორი.  
 მიყვარს ბევრი ძივი და  
 უფრო ბევრი თამაში.  
 ჯერჯერობით ვფრეინ მჯობს  
 ტირილსა და ჭამაში.  
 სახლი მივას ვერაზე,  
 ნიშები აქვს წაშლილი,  
 თუ დაბოროდო, იკობხუთ.  
 ღვინს მაპყარაფვილი.



### თ ა ვ ვ ი

თავი ვარ, სპილო ზომ ან ვარ,  
 რომ მარბალებს ამფნსო,  
 ვით მარცვადს შევუბამ, სვრიან:  
 — ვაი, მუღლი დაგვეხო,  
 ვერაფრით ვფ აუშლივარი,  
 ამ ღორმუცელს თავვებსო—  
 და მთელი ჭეანთიერება  
 სათავსურებით დაბეჭვსო.  
 კატის და ძაღლის ან მიკერის,  
 პასი რამ გაამხელაო,  
 ნეტავი მართლ სპილო მქნა,  
 სუფხვლას გადაფულავო.



### ბ ა ლ ი


მე ბალი ბალი მეგონა,  
 ყვავილებით და პეპლებით,  
 აქ კი რა დამხედა?—მაგიდა,  
 წიგნი და მასწავლებელი,  
 ვაშლის ფაფა და სტაფილი,  
 კატლები და სუპები,  
 არა, ბატონო, ამ ბალში  
 უთუოდ დავილუვები.  
 არ მინდა თქვენი საწოლი,  
 არც ეს ფაფუკი ბალიწი,  
 ან ნამწვილ ბალში წაყვიდეთ,  
 ან არა—სახლში გამიშვით.





# მეზღინი

ღევანიკომ და ნოდარმა  
 გატეხეს ჩაიდანია,  
 ბებო გაგეღა, სალამოს  
 ჩაი რომ ვეღარ დაღია.  
 ღევანმა გაღუჭურჩულა  
 ნოდარს, მის გვერდით დაწოლილს:  
 — ჩვენ რომ გვაძაღებს ძილის წინ,  
 ახლა თვითონ სვას მაწონი.




# სიღამავე

არა შრომით და გარჯითა—  
 როგორც პატარა ნარჩიტა—  
 უარზევანგი და ხობობი  
 თავს იწონებენ უარითა...  
 ეზოში წაიამარაო,  
 ქუდს შლიან როგორც მარალს,  
 ამბობენ:—ჩვენვან, პატრონო,  
 ეს სიღამავეც ამარაო.



# პრინციის ბრძანება № 1

სულით, ხორციით და ბუმბულით  
 პოეტრი იყო ბუღბუღი.  
 გადაეკიდა წეროთ,  
 ღექსი მე უნდა ვწეროთ.  
 ეს რომ გაიგო ვარდმაო,  
 გადაიყოლა ღარდმაო.  
 ეს რომ შეიტყო არწივმა,  
 თვალთაგან რისხვა აწვიმა,  
 ბრძანა:—მომგვარეთ სულელი,  
 ვარდს დაუბრუნოს სურნელი.  
 თან გადაეცით წეროლსა,  
 არც წეროს, არც იმღეროსა.  
 თორემ ფრთასა და ბუმბულსა  
 გაგაცილი ღერო-ღეროსა,  
 წერომ ბაყაყებს მიხედოს,  
 ღექსი ბუღბუღმა წეროსა.



# პოთხობები შოხუა ნახსევრებზე



ჯორჯა ნადირაძე


## ძველი ქვის ხანაში

ძნელ საქმეს შევეჭიდეთ, პატარებს ადამიანის ისტორია მიწადა მოვუთხრო, იმ ადამიანისა, საქართველოში ჯერ კიდევ ოთხასი ათასი წლის წინათ რომ ცხოვრობდა.

ხომ ვთქვი, ძნელ საქმეს შევეჭიდეთ, თხრობა დავიწყეთ და დასაწყისშივე შეცდომა დავუშვი. ზოგიერთმა ბავშვმა ხეირიანად ათასამდე თვლავ არ იცის, მე კი ოთხასი ზთასებზე ვილაპარაკები. მაშინ ისე ვიტყვი, როგორც ზღაპრებშია: იყო და არა იყო რა, იყო ერთი კაცი, რომელიც დიდი, ძალიან დიდი ხნის წინათ ცხოვრობდა შავი ზღვის სანაპიროზე. მეზღაპრემ იმ კაცზე შეიძლება ბევრი ტყუილი გვიამბოთ. მე კი სრულ სიმართლეს მოგახსენებთ: დღეს რომ ლამაზი ქალაქი სოხუმივა გაშენებული, ის კაცი მის მიდამოებში დაეხეტებოდა, უკან ჯგროვდა დაჰყვებოდნენ თავისი მოძმენი, ხელში ქვის ხელნაჯახები ჩაებღულჯათ და დაბურულ ტყეში დათვებს დარაჯობდნენ: ნადირობის შემდეგ ზღვაში ბანაობდნენ, მზის ჩასვლისას კი თავის ბუნავს უბრუნდებოდნენ. მათი საცხოვრისი სოხუმის ჩრდილოეთით რომ მთაა აღმართული, იქ იყო. ამ მთაზე, ჩვენი ძვირფასი ძმები — აფხაზები ახლა იაშთხვას რომ ეძახიან, იპოვნეს არქეოლოგებმა ეს სადგომი. თუ თქვენ ვერ გაიგეთ, ვინ არიან არქეოლოგები, მე გეტყვით: ეს ის ხალხია, ადამიანის შორეულ წარსულს რომ სწავლობს. არც ის უნდა იყოს ძნელი დასამახსოვრებელი, რომ სიტყვა „არქეოს“ ძველს ნიშნავს ბერძნულად, ხოლო „ლოგოს“ — შესწავლას.

ჰოდა, ამ ძველისძველი ისტორიის შემსწავლელ ხალხთან ერთად, იმ მთაზე მეც მიძებნია პირველყოფილი ადამიანის ნაკვალე-

ვი. ისეთი ლამაზია ეს ადგილები, რომ ენავერ იტყვის. სწორედ ჭკუა ჰქონია პირველყოფილ ადამიანს, ასეთი ადგილი რომ შეუჩევია საცხოვრებლად. საცხოვრებლად-თქო, ვამბობ, მაგრამ რა ცხოვრება ჰქონდა, სახლის აშენებაც კი არ იცოდა. სოროსავით მიწურს გამოთხრიდა, შიგ ფოთლებს ჩააფენდა, ჩანწებოდა და ჩაიძინებდა. იმის შიშით, თავზე ნადირი არ წამომადგესო, ნადირივით ფრთხილი ძილი იცოდა. განსაკუთრებით ლომ-ვეფხვის, აფთრისა და დათვის ეშინოდა. იმ დროს უზარმაზარი დათვები ცხოვრობდნენ. ახლა იმ გადაშენებულ ცხოველს გამოქვაბულის დათვის უწოდებენ. მე მინახავს მისი თავის ქალა, ხელშიც მჭერია. მტკავლიანი ეშვები და გრდემლივით მაგარი, დიდი საძირე კბილები აქვს. მის მნახველ კაცს ადვილად შეუძლია წარმოიდგინოს მურა ფერის, დიდტორიანი, ძლიერი მხეცი, რომელიც ადამიანებს შიშის ზარს სცემდა. შავი ზღვის სანაპიროზე მაშინ ათჯერ უფრო ღონიერ





ცხოველებიც ცხოვრობდნენ -- სპილოები და მარტორქები; ველური ცხენები და დიდრქებიანი, ლამაზი ირმები ჯოგებად დახეტებოდნენ ტყეებში და შამპანარით შემოსილ ფერდობებზე.

მაგრამ ადამიანს მათი არ ეშინოდა. ეს უწყინარი ცხოველები ბალახბულახითა და თივა-ნეკერიტ იკვებებოდნენ. დათვი, ლომ-ფეხვი და ცხიერი აფთარი კი სიცოცხლეს უმწარებდნენ კაცს. ის დღედაღამ იმას ფიქრობდა, როგორმე მორეოდა ამ ცხოველებს, სამუდამოდ დაემორჩილებინა ისინი.

დამიორჩილა კიდეც. ადამიანმა ყველა სულდგმულს იმით აჯობა, რომ ფიქრი შეეძლო. ნაფიქრალს კი სიტყვებით გამოხატავდა და გულში ნადებს თავის მოძმეს აგებინებდა. არა, ის ჩვენი შორეულზე შორეული წინაპარი ისე სხაპასუხებით კი არ ლაპარაკობდა, როგორც ახლა ჩვენ ვესაუბრებით ერთმანეთს, დანაწევრებულად მიტყვევებდა.



ჟილი კაცი. ეშვით გაფატრული ბარძაყიდან სისხლი სდიოდა და სიკვდილს ებრძოდა. და თან ფიქრობდა: თუ გადავრჩი, ეშვი უნდა გავაკეთო და დათვს თავი უნდა ვავუხეტოქო. კაცი გადარჩა. და ფეხზე დადგა თუ არა, ხეობაში წავიდა, კაჟის ლოდები მოაგროვა, თავის სადგომთან მიიტანა და მიწურის წინ დაყარა. მიწაში ქვის გრდემლი დაამაგრა, ზედ თეთრი კაჟის ქვა დადო, ჩორკნა დაუსყო, ქვას ქვით აწვებოდა, ანატკეცებს ახლენქდა და დიდი წვლების შემდეგ კაჟის მოზრდილ ლოდს წვერი წაუმახვილა. ჩემი ეშვი, — გიფიქრა კაცმა და სიხარული ხორხოცით გამოხატა. დარტყმის დროს ხელისგული რომ არ ტყენოდა, ქვას წვერის საწინააღმდეგო მხარეს ხელის ჩასაკიდი მოუსწორა. კაცი დაიღალა, დაისვენა და შემდეგ ისევ დიდხანს, ძალიან დიდხანს წავლობდა, რომ ეშვისათვის ორსავ მხარეზე მჭრელი პირი გაეკეთებინა. ქვას ქვით პატარა ანატკეცებს აცლიდა და იარაღს ბასრ პირს უკეთებდა. გარს შემომსხდარი ბავშვები გაფაციცებით ადევნებდნენ თვალს მისი ხელების მოძრაობას და ყველა ცდილობდა მხოუცისაგან ესწავლა ეს გასაოცარი ხელობა.



იტყოდა, მაგალითად, „ზღვას“ და „ფეხს“ და ეს იმას ნიშნავდა, რომ ზღვისკენ უნდოდა წასვლა. წინამძღოლი ფეხს, ტყეს და ნადირს რომ ახსენებდა, ყველა ხვდებოდა, სანადიროდ უნდა წასულიყვნენ.

ადამიანების მრავალი თაობა ფიქრობდა იარაღის გამოგონებაზე და გამოიგონეს კიდეც.

## ხის შუბი და ქვის ხელნაჯახი

ვერავინ იტყვის, როდის მოხდა ეს, მაგრამ მე დანამდვილებით შემიძლია ვთქვა, რომ ოდესღაც მთაზე მიწურში ეგდო ნადირობიდან დაბრუნებული, დათვისაგან დაბე-

ახლა თქვენ შეიძლება იფიქროთ: თუ ეს ყველაფერი უხსოვარ დროში მოხდა, ამან საიდან იქისო. აკი მოგახსენეთ, მე თვითონ ვახლდი არქეოლოგებს იმ მთაზე, როდესაც მათ კაჟის ხელნაჯახი იპოვნეს. ეს იარაღი საქართველოს ისტორიის მუზეუმშია გამოფენილი და ყველას შეუძლია ნახოს.

ამ ხელნაჯახით ხის შუბებსაც აკეთებდნენ ჩვენი წინაპრები, ეს ორი იარაღი და ცეცხლი იყო მათი უდიდესი მონაწილეობა.



# მსხვილის ჯვარი

ჩვენს სამშობლოს — საქართველოს, ისტორიამ ბევრი უბედურება დაატეხა თავს. უფორვალად შემოგვესია მტერი, ავგანოიკა, დავგანგრია, ავგაოხრა. მაგრამ ხალხი ისევ მრავლდებოდა, ძალს იკრებდა, აშენებდა ციხესიმაგრეებსა და საცხოვრებელ სახლებს, აკვებდა მონასტრებს, კლდეში შკვეთდა ქალაქებს... ამათგან ბევრი განადგურდა, ვერ გაუძლო ისტორიისა და ბუნების ქართველობებს, მაგრამ მრავალმა მაინც მოაღწია ჩვენამდე. «დიდამ» გადაწყვიტა მოგიფხროთ ჩვენს ისტორიულ ძეგლებზე, გაგაცნოთ მათი ადგილმდებარეობა, გიამბოთ მათთან დაკავშირებული ლეგენდები და სხვა.

როცა ამ ახალი განყოფილებს — რუბრიკის მუდმივი სათაურის მოკონებაზე მივდავარს, საგონებელი ჩავვარდით. ვერა და ვერ მოვიფიქრეთ ისეთი სხარტი და აზრობა სახელწოდება, ამ თემას რომ ეკადრება.

შოდა, რაკილა გავანდეთ რედაქციის გასაქირი, ბარემ იმასაც ვეცხვით, რომ დამარებას თქვენგან მოველით. იქნებ მოგეშველოთ, გვიკარნახოთ, რა დავარქვათ ამ განყოფილებას? თან ისიც მოგვკერეთ, რომელ ისტორიულ ძეგლებზე გინდათ გესაუბროთ. ღელს კი, მოგიყვებით მცხეთის ჯვარზე.

მცხეთის „ჯვარი“ მთის ქიზზეა აშენებული და აგერ სადაცაა თხოთმტერი საუკუნე გახდებდა, დგას არაგვისა და მტკვრის შესაყართან, როგორც უტყვი მონემ ჩვენი ისტორიისა. დილ-დილობით მისი შავი სილუეტი ვებერეთელა ჩრდილად იქცემა და გადაუღვლის მცხეთას, მტკვრის ზედაპირზე ირეკლება მისი გამოსახულება, ბოლო როცა მზე ამოვრდებდა, თანდათან ამაღლდებოდა და გზოლისფერად ააფერადებს იქაურობას. „ჯვარის“ მონასტერი განუყოფელი ფონს უქმნის ჩვენს უძველეს დედაქალაქს. ისტორიამ არ შემოვიგინახა მცხეთის „ჯვარის“ ხუროთმოძღვრის სახელიდან დაკავშირებული ხუროთმოძღვრის განამარჯვება განამარჯობა საოცრად მახვილმა თვალმა, რამაც ეს ადგილი შერჩევინა, და, აღმათ მრავალბუნადმა მადლიანმა მარგუენამ. მცხეთის „ჯვარზე“ მრავალი წარწერაა, ეს წარწერები იმითაც არის ღირსშესანიშნავი, რომ ყოფილი და მწერლობის ჩვენამდე მოღწეული ნიმუშებიდან ერთერთი უძველესია. აბა, უფრო მთელად, რა ლამაზად ეყურის მთელი ქართული — ჩვენი წინაწერის ენა:

„მამა დაბრძოლ მთავარ-

ანგელსო ადარნასე იმატოსა მეოს ყეავ; ჯვარო მაცხოვარისაო, სტფანოზ ქართლისა პატრიკოსა შეინყალი; წმიდა მიქელ მთავარანგელოსო დემეტრეს იმატოსა მეოს ყეავ.“

ამ მოხსენიებულ სტეფანოსს ვაუღია სწორედ მცხეთის „ჯვარის“ ახაგები თანხა, ამიტომაც წარწერით უსვლავფუყვით მისი სახელი, მაგრამ ხუროთმოძღვარი, ამგვით, სულსამდგამელი ამგვით, სულსამდგამელი ამგვით, რატიმ არა ჩანს, რატიმ არსად შერის მისი სახელი იქნებ ეს იმიტომაც მოხდა, რომ მდიდარ კაცს რომელმაც უფლი გაიღო, არ სურდა მისი დიდება და სახელი ვინმეს ახაგე და ღარიო, მორიდებული არქიტექტორი ამიტომ დარჩა ჩრდილში ვინ იცის.

წარმოიდგინეთ, როდემე ყოფილ და გონიერი უნდა ყოფილიყვნენ ჩვენი შორეული წინააღობები, რომ მასმინდელი სტეკივის პირობებში მცხეთამდე მიუტანათ და იმ სიმაღლეზე აეზიდათ ვევერეთელა ლომები თუ სხვა სამშენებლო მასალა, ისეთი სიყვარული შეედუღაბებინათ

ისინი, რომ მრავალი საუკუნის ქართველობისთვის გაეძლი, გვიძლი და ჩვენი განსაზღვრული ქვეყნის წინაშე წარმოგვარეოთ, როგორც ხალხის გენიოსა და შესაშური შრომისმოყვარეობის კიდვე ერთი ბრწყინვალე ძეგლი.

კიდევ რით არის მცხეთის ჯვარი ღირსშესანიშნავი? ხუროთმოგახსენეთ, რომ თვით მისი მდებარეობა გასაცხვიფრებელია. „ჯვარი“ ხომ ისე დგას მთის თხემზე, რომ იმ მოთხვე ბუნებრივი გაქმელებს გვეგობათ. მსუბუქი, პერეორა, თითქოს ახაგრენად განაზღვრული შერის ეს ტიპი ჩვენი ხალხის შემოქმედების ნიაშია ნაშობი და ჩამოყალიბებული, ზემოდან რომ დახვები კაცმა ტიპარს, იგი ჯვარს ნააგავს. ჯვარის თვით მულაგდინს ვაუკურნებდეს მცხეთის მონასტრის ზღაპრულმა სილამაზემ შთაგონა დაგვინათვის ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილება — პოემი „მწირი“.

საუკუნეთა მანძილზე ვინლა არ მოუვალდებოდა მცხეთის ჯვარს მისთვის გულცივად არ ჩაუვლია არც მტერი, არც მოყვარე. მით უფრო,

რომ მის ძირს ოდითგან გაოლოდა დიდი სავაჭრო გზა. ამ გზამ ნაიყვანა რუსეთში ჩვენი ელჩობა, რომელსაც შემდგომ გეორგიევსკის ტრაექტიტი და რუსეთ-საქართველოს დამოყვრება მოჰყვა; ამ გზას გააყვინე ვეტერებურს სასწავლებლად მიმავალი თორგალალები, ამ ბევრჯერ აუღელ-ჩაუღვლია დიდი ილიის (მას ხომ წარწარმოში შექონდა ადგილ-მამული), უფრო ისინი საქართველოს წარსულზე და უტყვისა მომავალზე „ჯვარის“ სიდიადით მიზობილული იყვნენ პუშკინი, ტოლსტოი, გორკი, ჩაიკოვსკი... ლერმონტოვის კი ჯვარის მონასტრის ზღაპრულმა სილამაზემ შთაგონა დაგვინათვის ერთ-ერთი საუკეთესო ქმნილება — პოემი „მწირი“.

ზურაბ ლუშაშვილი



ნ ა ნ ა

ნანი, ნანა, ნანაო,  
ჩემო ანუკა, ანაო,  
ძილმა ერთბაშად მოციხფრო  
სხვა მხარეს წაგიყვანაო,  
ათასფერ ყვავილებთან და  
ჭრელჭრელა პეპლებთანაო.  
ხედავ, თან წვიმს და მინდორი  
ოქროსფრად დაინამაო,  
ყაყაჩოები ბრიალებს,  
იქით — ზღვისფერი ყანაო.  
უფრო შორს თეთრი კრავები  
მზემ ცისკენ გაილალაო,  
რა საკვირველი მხარეა,  
პირდაპირ გამოცანაო:  
ხან მზეს ცხრა თვალი უცინის,  
ხან მთვარეც კრთება თანაო.  
ანდა რამ ზარდა ერთობირად  
აქ ყველა ალვისტანაო...  
ნანი, ნანა, ნანაო,  
ჩემო ანუკა, ანაო,  
სიზმარშიც მხარე გეხატვის  
შენი სამშობლოსთანაო.



ნუგ  
მეფე

ნიოს ავსიაუნი

ნუმც მოეშლება უღრანებს  
ირმის და ნუკრის ნაფრენი,  
სიცოცხლეს, ქვაშიც მძინარეს,  
აუშვას მუნჯი აფრები.  
იცინოს დედის ხელებით  
პირდაბანილმა დილაძა,  
მარიხის თვალმა დაფურჩქნოს,  
რაც მღვრიე წყალმა მილაძა.  
ნუმც მთებს, მყუდრომ მთვლემარე  
ჩიბუხი დაუნაცრებათ,  
ბალახზე დაჯდეს ცვარ-ნამი,  
ჩარიგდეს ვერცხლის მარცვლებად.  
შურთხმა კლდეს ჩაუწკრილოს,  
ბარი ჩაუტკებს იადონს,  
სიმღერას ჩემი გულისას  
ვარსკვლავმა ყური მიადოს.  
თეთრმა უფრინოს პეპელამ  
ყაყაროსა და ყანასა,  
ნუმც ამოუწყდეს მლოცავი  
სიცოცხლეს ამისთანასა.



პეფხვის ტყეში

სულხან აბაღოლიძე

მარტი წავიდა

მარტი წავიდა, გაგვმორდა,  
მზემ სძლია, ველარ იავა,  
პეპელას ფრთები შეგვახო  
თმაქორჩილმა ნიაგმა.  
მთიდან დაეშვა ჩანჩქერი,  
სიპ კლდეს ტალღები ახალა,  
ხის ტოტზე ციცივი ფუსფუსებს,  
მზეზე კაკლები დახალა,  
ბუდიდან შურით შესცქერის  
ზარმაცი ყვავის ბახალა.  
ტყეში ამოსულ სოკოებს  
შემოხვევიან იები,  
და წითელქუდა გოგოებს  
პკიდათ წვიმის მძივები.  
ფუტკარმა გაიზუზუნა,  
შემოიფრინა ველები,  
ბუჩქებში ფაციფუცობენ,  
მშრომელი ჭიანჭველები.  
მინაში თესლი გაღვივდა,  
მზის შუქი მასაც ეამა,  
პეპელას ფრთები შეგვახო  
ამ თმაქორჩორა ნიაგმა.



თოფი,  
ხმალი,  
ხანჯალი,  
მშვილდ-მისარი,  
დამბაჩაც  
სულ ტანზე დაიკიდა —  
არაფერი გადარჩა.  
რანინდულად აცვია,  
მეტად ველარ შემოსავ,  
ასე უყვარს მიშიკოს  
დილთი ჩემთან შემოსვლა.  
— ხუთი ვეფხვი მოგვალი  
უთენია,  
ამ დილთი.  
— რა ვაჟკაცი ყოფილხარ,  
ნამდვილია?  
— ნამდვილი!  
— მონადირე თუ ხარ,  
აგრე უნდა, აგრე.  
— სად მოკალი ვეფხვები?  
— აფრიკაში, აგერ.  
მეორე დღეს კვლავ ვხვდებით,  
— მიშა, როგორ ბრძანდები?  
— დღეს ორმოც ვეფხვს მოგვკლავდი,  
გამითავდა ვაზნები.  
არა, არ შემხვედრია  
მონადირე ასეთი.  
მეოთხე დღეს, ნუ იტყვიო,  
ვეფხვი მოკლა ას ერთი!  
ზოგი რომ დამინახავს,  
თვითონ კვდება შიშითო.  
— შოდა, სათხოვარი მაქვს  
შენთან, ჩემო მიშიკო,  
ხომ ვართ ჩვენ მეგობრები,  
მეგობრები ნამდვილი,  
ერთი ტყავი ვეფხვისა  
მომიტანე ხვალ დილთი,  
ო, ეს ჩემთვის იქნება  
დიდზე დიდი საუნჯე,  
ანი მიწევე აკვანში  
და აკვანის ქვეშ დავუგებ.  
ცოტა შეერთა მიშიკო,  
ნარბი კი არ შეხრია,  
— აფრიკაში,  
სუყველგან,  
სულ უტყავო ვეფხვია.  
ეჰ, რომ იყოს, — მოწყენით  
ამბობს ბიჭი გულადი, —  
ერთ ტყავს ტარიელივით  
მეც კი მოვიხურავდი.





# ჩოჩოჩი

ერთ თეთრფეროვან სახედარს ჩოჩოჩი შეეძინა. შვილის გაჩენა ვის არ უხარია, მაგრამ დედა ვირმა ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. ნახირში რომ გაერეოდა, სულ იძახს იძახს:

— შეხედეთ, შეხედეთ, ჩემი შვილი როგორ წინდახედულად დაბაკუნობს, კუდით ბუზებს იგერიებს, რა ჭკვიანი თვალებით იხედება და რა შორს ხედავსო.

ჩოჩოჩი, რა თქმა უნდა, დაბაკუნობდა როგორც ხბოები და კვიცები, მაგრამ განსაკუთრებული წინდახედულება თითქოს არ ეტყობოდა. კუდით მწერებს იგერიებდა როგორც სხვები და მშვენიერი ქლიავისფერი თვალებიც ჰქონდა, მაგრამ სადღაც შორს რაიმეს დანახვას არ აპირებდა.

შეაყენებდა დედა, სადაც კორტოსს და ბეჭობს დაინახვდა, და შეუჩნდებოდა:

— დეიდებს ლექსი წაუკითხე და უმღერეო.

აკვირდებოდა ჩოჩოჩი, ხან ერთ ყურს აწვედა და მეორეს დაუშვებდა, ხან ორივეს გაფშეკდა და ჩამოყრიდა ან მაღლა შეწკიპავდა...

მართლაც სასაცილო იყო, და სახედრები რომ ყროყინებდნენ, — ძროხები ბლაოდნენ,

ცხენები ჭიხვინებდნენ. მართალია, დედა სხვა ჩოჩოჩებში, ხბოებში და კვიცებში თამაშს არ უშლიდა, მაგრამ რაკი შვილი, დედისა არ იყოს, თეთრფეროვანი იყო, მშობელი არიგებდა, თავისი ფასი სცოდნოდა, მალაყები არ ეყარა, ჯგორობია არ ეთამაშნა, ზურგზე ვინმე კი არა, პეპელაც კი არ დაესვა, ოფლი არ გამოედინა და შორს, ძალიან შორს ეცქირა.

სხვა ჩოჩოჩები, ხბოები და კვიცები რომ ყირას გადადიოდნენ, ერთმანეთს ახტებოდნენ, დაჯლივინებდნენ და ოფლად იხვითებოდნენ, თეთრფეროვან კუდს მარჯვედ იქნევდა, ბუზანკალს არ იკარებდა და ფიქრობდა:

„დედაჩემი რომ იძახის, შორს ხედავსო, ნეტავი რას ვხედავო?“ — ამტერდებოდა მთას, მთას იქით მთას და ცის კიდეც, სანამ თვალები არ აუჭრელდებოდა. ბოლოს, შორეთს თვალმიციებულს, ცის კიდეზე ღრუბლები თეთრი თივის და ნამჯის ზვინებად ეწვევებოდა და ფიქრობდა, იქამდე თუ მივალწევ, იმ ქუჩქულა ზვინებს, კბილის გაქნევა არც დამჭირდება, ისე ჩავატკბარუნებო. დიდი ფიქრის შემდეგ დარწმუნდა, იქამდე მისასვლელად გაფრენა იყო საჭირო, და იმაზე თავისტყუნას მოყვა, როგორ შეიძლებოდა ფრთების შესხმა...

ამასობაში ჩოჩოჩი მუტრუკი გახდა და პატრონმა მოაკითხა — ჯოჯს და რემას მწყემსი ჰყავს, ზოგიერთ სახედარს რომ ჰგონია ქვეყანა უპატრონო და უმწყემსური, ისე კი არაა.



მხატვარი თამარ შხინაძე

მოჯდნენ თეთრფეროვანას ქეროში.

გადაირია დედამისი:

— ეს ჩემია... ამისთანა ქვეყნად არაფერი დაბადებულა, ამის სხვასავით ხედნა და ჭაპანყვეტა როგორ შეიძლებაო?!

ახედ-დახედეს, ერთი ჩვეულებრივი მუტრუკია.

— რა ხარ ამისთანაო? — მაინც ჰკითხეს.

— წინდახედული ვირი ვარო. — აუხსნა მუტრუკმა.

— შენი წინდახედულება იმას ნიშნავს, არ შეგვდეთ, არ გაჭენოთო?

— ამას გარდა, შორს ვხედავო.

— რას ხედავ შორს ამისთანას?


— იმას, რომ ჩემი ხედნა და თქვენს ჭკუაზე ჭენება არ შეიძლება.

— აბა ჩვენ ვიაროთ მუტრუკის ჭკუაზე თუ როგორ გვირჩევეო?

მოაჯდნენ და მოსცხეს მათრახი. ერთი დედამისსაც გადაუჭირეს „წინდახედული“ და „შორსმჭვრეტელი“ მუტრუკის აღზრდისათვის, რომ მასაც და სხვასაც ჭკუა ესწავლათ და მუტრუკი ჩოჩრობიდანვე ვირად გაეზარდათ.








ჩიტებს ცხელ ზაფხულში ერთი გასაჰირი აღგათ—შველგან როდი პოულღობენ სახმელ წყალს. თუკი ხაღმე წყლიანი კახრი ან ჭოთანი გიღგათ, შიგ ფიცრის ნაჭერი ჩაგ-ღეთ. ჩიტი მყის მიხვდება, რომ „ტივზე“ უნდა დაჯდეს და წყალი დალიოს.

# ჩ ა მ რ ს კ მ დ ლ ა

შვეულ სვეტებში ჩახვი საქართველოში გავრცელებულ ყვავილთა სახელები ისე, რომ ჰორიზონტალურ რგოლებში მიიღო ცნობილი ქართველი მწერლის სახელი და გვარი.



ზოგ მცენარეს აღმოსავლეთ საქართველოში სხვა სახელი ჰქვია და დასავლეთ საქართველოში — სხვა. ერთერთი მათგანია ი ფ ა ნ ი ა ნ უ კ ო პ ი ტ ი. ამ სიტყვიდან გან წარმოქმნილია სოფლების სახელები: ი ფ ნ ა რ ი (თეთრი წყაროს რაიონში და გავრის საქალაქო ზონაში), ი ფ ნ ა რ ა (გორის რაიონში), ი ფ რ ა რ ი და ი ფ ა რ ი (მესტიის რაიონში), ი ფ ნ ი ს გ ო რ ა (ახმეტის რაიონში), ი ფ ნ ე თ ი (ნახოფლარია ჭავჭავთში), კ ო პ ი ტ ა რ ი (იმერეთში).

იმავე მცენარეს მეგრულად ლ ა ჯ ი ა ნ ლ ა ნ ჯ ი ჰქვია. ამ სიტყვიდან მოდის ლეჩხუმის ერთ-ერთი სოფლის სახელი — ლ ა ჯ ა ნ ა, აქედან კი ნაწარმოებია მდინარის სახელი ლ ა ჯ ა ნ უ რ ა. ეს მდინარე ახლა კარგად ცნობილია იმით, რომ ზედ გამართულია მძლავრი ელსადგური — ლაჯანურჰესი.

მთელ საქართველოში გავრცელებული მცენარეა

## უზრბა ვუმბურიძე

### ადგილთა ვინაობა

ტი რ ი ფ ი. მას წვრილი და დრეკადი ტოტები აქვს და ძლიერ კარგი მახალა კალათებისა და გოდრების მოსაწნავად; ტირიფის სხვადასხვა სახეობას ძეწნასა და წნორს ეძახიან.


ტირიფისაგან ნაწარმოებია ქართლის დიდი ქვლის სახელწოდება — ტ ი რ ი ფ ო ნ ა, ძეწნასაგან — აკარის ერთ-ერთი სოფლის სახელი ძეწწმანი, წნორისაგან — ქალაქის სახელი წნორი ან წნორის წყალი (კახეთში, სიღნაღის რაიონში).

სხვადასხვა სახელით არის ცნობილი აგრეთვე ერთი ტანდაბალი მცენარე, რომელსაც დიდრონი, დაკბილული ფოთლები აქვს. ესაა გ ე მ რ ა ანუ ჩ ა დ ო უ ნ ა. ლაგო-





# განვიხილოთ



რომელმა თქვენგან-მა უკეთ იცის ქუჩაში მოძრაობის წესები? ბევრი ალბათ მაშინვე იტყვის, მაგის ცოდნას რა უნდაო. კეთილი და პატიოსანი. თუ ასეა, მოდი, ერთად შევამოწმოთ, ვინ რა იცის. ჩვენ შეგეკითხებით, თქვენ გვიპასუხებთ და ის პასუხები გამოგვიგზავ-

ნეთ. ხომ გაინტერესებთ, რომელი თქვენგანის პასუხია სწორი? მაშ, ასე, ვიცნებთ:


1. გადაჭრი თუ არა ქუჩას, როცა წითელი მუქნიშანი ანთია, მაგრამ ქუჩაში მანქანის ქაჭანება არ არის?

2. ვის აქვს ტრანსპორტის წინა კარიდან ასვლის უფლება? შენ თუ გაქვს ამის უფლება?


3. როგორ შევზღუდოთ ერთკარიან ავტობუსში? ორკარიანში?

4. ახლა კი ყველაზე ძნელი კითხვა: მხატვარს თქვენითვის რამდენიმე საგზაო ნიშნის დახატვა ვთხოვეთ, მან საქმე სანახევროდ შეასრულა — ნიშნებში საგანგებოდ არ ჩახატა, რაც საჭირო იყო, ქვეშ მინერული ნარწურების მიხედვით ეს ნიშნები თქვენ უნდა შეავსოთ.


თბილისის  
ავტოინჟინერების  
პროპაგანდის  
განყოფილების უფროსი  
რ. ინატაბულიძე




ტრატორის  
მოძრაობა  
აკრძალულია




ხმოვანი სიგნალის  
მიცემა  
აკრძალულია



რკინიგზის  
უშლაგაზაფხობ  
გადასასვლელი



სარემონტო  
სამუშაოები



მთოციკლითის  
მოძრაობა  
აკრძალულია




ვალფეროვან ზედაპირზე მცენარეთა, ცხოველთა და ფრინველთა მრავალფეროვანი სამყაროა — ტყე და მთა-ველი სავსეა ათასგვარი ფრინველ-ცხოველით. თუმცა, აქ ცოტა არ იყოს შევცდით, ერთი სიტყვა უადგილოდ ვიხმარეთ — სიტყვა „სავსე“ მთლად ზუსტად ვერ გამოხატავს ჩვენი ბუნების დღევანდელ დღეს. საქმე ის არის, რომ ადამიანმა (და არა მარტო ჩვენში) მეტად დიდი ვნება მიაყენა როგორც მცენარეებს, ისე ფრინველებსა და ცხოველებს. იყო დრო, როცა განუკითხავად იულიტებოდა ფრინველ-ცხოველი, იჩებებოდა ტყე, ისობობდა თევზი მდინარეში. საქმე ისე წავიდა, რომ ზოგიერთი ჯიში გააშენებამდე მივიდა. ამიტომ დღეს ბუნების დაცვა სახელმწიფომ ითავა. ამასწინათ გამოვიდა ძალზე საინტერესო წიგნი „საქართველოს სსრ წითელი წიგნი“. ამ წიგნში შეტანილია გადაშე-

ნების პირას მისული ცხოველები, ფრინველები, მცენარეები. მათი მოხსენებები და ხელმეყოფნი კანონით ისჯებიან.

მაგრამ ჩვენი ქვეყანა რომ ისევე ისეთი ლამაზი, ცა-ფირუზ, ხმელეთ-ზურმუხტი იყოს, მარტო იმის დაცვა არა კმარა, რაც „წითელ წიგნშია“ შეტანილი. საქართველოს ყოველი მოქალაქე, დიდი თუ პატარა მოვალეა თვალის ჩინივით უფრთხილდებოდეს, იცავდეს და ამრავლებდეს ბუნების სიმდიდრეს, რათა როცა თქვენ გაიზრდებით, ჩვენმა ბუნებამ ისეთივე სიამოვნება მოგვგვაროთ, ისეთივე სამსახური გაგინოთ, როგორც თქვენი წინაპრებისთვის გაუწევია.

ამჯერად მოგვყავს გამქრალი ან მიუვალ ადგილებში შემორჩენილი ცხოველების ზოგიერთი სახეობანი. ასეთ საუბრებს „ბუნების კარში“ შემდგომად განვადგობთ.

ჩვენი სამშობლოს — საქართველოს ბუნება მეტად მრავალფეროვანია. არც თუ ისე დიდ ტერიტორიაზე (ურჩივარ არ იქნება, თუ აქედანვე დანიმასხვრებთ — საქართველოს ფართობი 69700 კვადრატული კილომეტრია) განლაგებულია ცადაზიდული მთები, აბიზინებული იალალები, ფოთლოვანი და წიწვიანი ტყეები, ნესტიანი ზღვისპირა ჭაობები; მშრალი, მცირენალექიანი, მკაცრპავიანი ზეგნები; ნაყოფიერი, ზომიერპავიანი დაბლობები; ნახევარუდაბნოები... საქართველოში მოედინება თევზით სავსე 25 ათასზე მეტი დიდი თუ მცირე მდინარე. ჩვენში ათასამდე ტბაა, 1,400 მინერალური წყალი. ესოდენ მრავ-



ჯივი

საპარტიზმოს  
ალკა ცა-ისა  
და ვ. ი. ლაინის  
საქალაქის  
პრონარტა  
ორბანოზაპინის  
რასპუბლიკური  
საპარტის  
მუხრალი  
შეშროსკალა.  
თათვის

ყდაზე ნახატი ქეთვან ყიფიანისა

მთავარი რედაქტორი ანჰერ ნიშარაძე

სარედაქციო კომდგია: ეშუარდ აშშოქაძე, ილია ანთოვაპა, კაჟური ბოგიაშვილი, სოლომონ დეშოხანაშვილი, ლილა პარაძე, მანანა კოხანიძე, ზურაბ ლეშაშვილი (პრ. მდივანი), გელა ლოსაბერიძე, მავაჟა მგვლიშვილი, ჯორჯა ნაფიძე, გიორგი გომიშვილი (სახატორ რედაქტორი), მანანა ხაჩიძე, გივი ვივიანაძე.

ტექნიკური რედაქტორი ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამომცემლობის, სტამბის — თბილისი, ლენინის, 14. ტელ. მთ. რედაქტორის — 93-41-30, 93-98-15; პ/მ მდივნის — 93-10-32, 93-98-18; სახ. რედაქტორის — 93-98-18; განყოფ. 93-9819.

გადაცემა ასეუფად 9/11 83 წ., ხელმოწერილია დასაბეჭდად 5.1V, 83 წ., ქალაქის ზომა 6x90/16 ფი. ნაბ. ფურც. 2,5, ტირაჟი 165.400. შეჯ. № 399. «Дилა» № 4, журнал для младшеклассников на грузинском языке. Главный редактор Э. Нишарадзе. Тбилиси, Ленина, 14 II 20 к.

გამოცემის  
ნა-ე წილი  
საქ. კ. ც-ის  
გამომცემლობა  
Издательство  
ЦК КП Грузии



6203/84

გამქრალი ან მიშველ ადგილახში  
შემორჩენილი ცხოველთა სახეობები.

კავკასიური  
ფოცხერი



ნიამოი



ქარციი  
(ჯიირანი)



პრელმევა



კავკასიური ირემი



ჟოლგინი აფთარი

